ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ 2017 წელი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახური წარმოადგენს მერიის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს მერიის უფლებამოსილებას მიკუთვნებული სივრცით-ტერიტორიული მოწყობის, დასახლებების დაგეგმარების და მშენელობის საკითხების კორდინაციას, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებარე შენობა ნაგებობების შესაბამისობის ზედამხედველობას საპროექტო-ნორმატიულ და სახელმძღვანელო დოკუმენტებთან, შესრულებული სამუშაოების ვადების კონტროლს, არქიტექტურულ-საამშენებლო საქმიანობის დადგენილი წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენას, გარე რეკლამის განთავსების, საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის შეზღუდვის წესების, გარე ვაჭრობის, კეთილმოწყობის წესებისა და გარე იერსახის დაცვაზე კონტროლს. ზემოთ ხსენებულ საკითხებზე საკრებულოსა და მერის გადაწყვეტილებების აღსრულებას.

სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების გაცემა 12 სამშენებლო ობიექტზე:

1) საცხოვრებელი სახლი საბეში - ლევან შველიძე,
2) საკალმახე მეურნეობა სოფელ მარელისში - შპს ,,ლომის მთა“,
3) გაზსადენი მილი სოფელი ისლარში
4) გაზსადენი მილი სოფელი ჯაფარაულში
5) ოპტიკურ-ბოჭკოვანი კავშირგაბმულობის ხაზი სოფელ ზვარეში - ,,დელტა კომი“.
6) საცხოვრებელი სახლი ნადაბურში - გაგა გელაშვილი
7) N 1 სანაყაროს საბჯენი კედელი სოფელ ჩრდილში - „საქართველოს რკინიგზა“
8) საცხოვრებელი კომპლექტი (ტურბაზა) სოფელ მარელისში - გიორგი კიკნაძე
9) სასაწყობო საოფისე ნაგებობა დაბა ხარაგაულში - თემურ კურტანიძე
10) მეცხოველეობის ფერმა სოფელ სოფელი ვახანში - ზურაბ ქურდაძე
11) აფთიაქი სოფელ მარელისში - თამარ სხილაძე
12) მეცხოველეობის ფერმა სოფელ ღორეშაში - ვენერა კვანტრიშვილი

სამსახურმა 2017 წლის საანგარიშო პერიოდში მოახდინა სამშენებლო, სარეკონსტრუქციო, სამონტაჟო და მიშენების პროექტის შეთანხმება 37 სხვადასხვა ობიექტზე:

მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდა 9 ობიექტზე

1) საკალმახე მეურნეობა სოფელ მარელისში - შპს ,,ლომის მთა“,

2) ოპტიკურ-ბოჭკოვანი კავშირგაბმულობის ხაზი სოფელი ზვარეში - ,,დელტა კომი“.
3) გაზსადენი მილი სოფელი ისლარში
4) გაზსადენი მილი სოფელი ჯაფარაულში
5) საცხოვრებელი სახლი ნადაბურში - გაგა გელაშვილი
6) აფთიაქი სოფელ მარელისში - თამარ სხილაძე
7) მეცხოველეობის ფერმა სოფელ სოფელი ვახანში - ზურაბ ქურდაძე
8) N 1 სანაყაროს საბჯენი კედელი სოფელ ჩრდილში - „საქართველოს რკინიგზა“
9) მეცხოველეობის ფერმა სოფელ ღორეშაში - ვენერა კვანტრიშვილი

დემონტაჟის ნებართვის გაცემა 2 ობიექტზე

1) მესამე საჯარო სკოლის ავარიული შენობა დაბა ხარაგაულში
2) ხიდრის საჯარო სკოლის ავარიული შენობა სოფელ ხიდარში

ვარგისად აღიარება 13 ობიექტზე:

1) წყალმომარაგების სისტემა, სოფელი ჯაფარაული
2) წისქვილი, სოფელი ამაშუკეთი
3) გაზსადენი მილი სოფელი ისლარში
4) გაზსადენი მილი სოფელი ჯაფარაულში
5) მეღვინეობა „კიცხის“ შენობა, სოფელი კიცხი.
6) ოპტიკურ-ბოჭკოვანი კავშირგაბმულობის ხაზი სოფელი ზვარე ,,დელტა კომი“.
7) გაზსადენი მილი სოფელი ჩხერში
8) გაზსადენი მილი სოფელი ახალსოფელში
9) გაზსადენი მილი სოფელი ბაზალეთში
10) გაზსადენი მილი სოფელი თეთრაწყაროში
11) წისქვილის შენობა სოფელ საღანძილეში
12) სარიტუალო დარბაზის შენობა სოფელ საქასრიაში
13) გარე განათება სოფელ ღარიხევში

2017 წლის საანგარიშო პერიოდში, ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურმა რეაგირება მოახდინა გარემოს ეროვნული სააგენტოდან შემოსულ 43 წერილზე, რომლებიც შეეხებოდა ხარაგაულის მუნიციალიტეტის ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში, სასმელი წყალი, მარმარილოსებრი კირქვა და ა.შ.) მოპოვების ლიცენზიის გაცემასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მერიის პოზიციას.

ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ ყველა დაგეგმილ განსახორციელებელ პროექტზე შესაბამის სამსახურებთან და გამგებლის 2015 წლის 19 თებერვლის N49 89 ბრძანებით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ-ბის და შ.პ.ს-ს მიერ შესრულებული სხვადასხვა სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების შემოწმების მიზნით შექმნილი კონტროლის ჯგუფთან ერთად განხორციელდა ზედამხედველობა შესასრულებელ სამუშაოებზე.

ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურმა კომპენტენციის ფარგლებში შეისწავლა და მოახდინა შესაბამისი რეაგირება მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულ მოქალაქეთა განცხადებებზე. სამსახურის თანამშრომლები დებულებით განსაზღვრული უფლება მოვალეობის გარდა ჩართული არიან მუნიციპალიტეტის მერიაში არსებულ სხვადასხვა კომისიების მუშაობაში.